ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი N 15

სხდომის ჩატარების დრო:

25 იანვარი, 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი N3.
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეთხუთმეტე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი გ.ბასილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: თ.ნადირაძე და ტ.ლილუაშვილი, საკრებულოს წევრები: დ.მხეიძე, ბ.მახარაძე, მ.ნიჟარაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.ჭოხონელიძე, მ.სიმონიძე, ბ.ხამაშურიძე, ბ.ქებულაძე, თ.ჯუღელი, ზ.მამასახლისი, მ.რიჟამაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.კოსტავა, კ.გურული, გრ.შუშანია, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

სულ: 34 წევრიდან - 21 წევრი.

<u>შენიშვნა:</u> ბატონ ბესიკ ბრეგაძეს (საკრებულოს მაჟორიტარი წევრი) 2022 წლის 29 დეკემბრიდან, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28

დეკემბრის №158 განკარგულებით შეუწყდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება.

არ ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრები: მ.ჩიხლაძე, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე.

სულ: 14 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილები, ბატონები: ი.უგულავა, დ.ერემეიშვილი, ქალბატონი თ.დახუნდარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი ი.ჟორჟოლიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ქალბატონი ნ.კაკაბაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.სვინტრაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი დ.ნიშნიანიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი თ.ბერიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი გ.კუჭუხიძე, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.

საკრებულოს მიმდინარე სხდომის დღის წესრიგის პროექტის წარმოდგენამდე, **განცხადება** გააკეთა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ:** „მოგესალმებით მეგობრებო, დამსწრე საზოგადოებას, აღმასრულებელ ხელისუფლებას. ვიდრე უშუალოდ საკრებულოს სხდომას გავხსნი, მინდა, რამდენიმე განცხადება გავაკეთო. როგორც იცით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს ჰყავს ახალი მოადგილე, ქალბატონი თამარ დახუნდარიძე. მინდა, მას წარმატებები და ნაყოფიერი საქმიანობა ვუსურვო. ქალბატონო თამარ, ვიმედოვნებ, რომ თქვენი თანამშრომლობა საკრებულოსთან იქნება აქტიური. ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენ უხელმძღვანელებთ გენდერული პოლიტიკის მიმართულებას, იქნებით გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი აღმასრულებელ რგოლში. ჩვენ ბევრი სიახლე გვაქვს ამ მიმართულებით და ვფიქრობ, რომ თქვენი თანამშრომლობა გენდერულ საბჭოსთან ერთად იქნება აქტიური.

აქვე მინდა, გამოვეხმაურო თემას, რომელიც ეხება უკრაინის საკითხს და იმ განცხადებებს, რომელიც გაჟღერდა უკრაინის ქალაქ დნიპროს ხელმძღვანელობის მიერ. ჩვენ არაერთხელ გაგვიკეთებია უკრაინის მხარდამჭერი განცხადება, მათ შორის, საკრებულოს სხდომათა დარბაზში, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად, მათ შორის, არაერთი დეკლარირებული განცხადება. მას შემდეგ, რაც უკრაინის სუვერენულ სახელმწიფოში შეიჭრა ოკუპანტი - რუსეთის ფედერაცია, ქუთაისის თვითმმართველობამ არაერთი ღონისძიება განვახორციელეთ. მათ შორის, ჰუმანიტარული მიმართულებით. შეიკრიბა გარკვეული რაოდენობის, როგორც ფინანასური რესურსი, ასევე სხვადასხვა სახეობის ჰუმანიტარული ტვირთი. მოხდა აღნიშნული ტვირთის გაგზავნა უკრაინის რესპუბლიკაში. ამავდროულად, ქუთაისში 400-მდე დევნილი გვყავს უკრაინიდან. ადგილობრივი თვითმმართველობა ყველანაირად ცდილობს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მათ შეუმსუბუქოს ცხოვრება, შეუმსუბუქოს ის პროცესები, რომელიც უკავშირდება დევნილობას. ძალიან კარგად გვესმის, რას ნიშნავს დევნილობა, რას ნიშნავს საკუთარი ტერიტორიის, სახლისა და

კარის დაკარგვა და დროებით, იძულებით გადაადგილება. ჩვენ გვქონდა არაერთი პრაქტიკული გამოცდილება. ბატონ კობა გურულს მინდა შევეხმიანო, ჩვენ კონკრეტული გადაწყვეტილება მივიღეთ, რომელიც უშუალოდ ურეკს უკავშირდებოდა, კონკრეტულად, უკრაინის მოქალაქეების გაგზავნას ამ ქალაქში. კიდევ ერთხელ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო ის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც დღეს მიიღო ადგილობრივმა თვითმმართველობამ, უშუალოდ ქალაქის მერმა და ეს ეხება ქალაქ დნიპროს. მოგეხსენებათ, რომ სადღაც 20 ათასი ლარის ღირებულების გენერატორის შესყიდვას მოახდენს ადგილობრივი თვითმმართველობა. კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა, რომ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად. მოგეხსენებათ, რომ არაერთ საერთაშორისო დონეზე, არაერთ დეკლარირებულ პოზიციას შეუერთდა საქართველო და უკრაინას და უკრაინელ ხალხს დაუჭირა მხარი. ვფიქრობთ, რომ ჩვენ, ადგილობრივი თვითმმართველობა შეთანხმებულად, მათ შორის ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ უკრაინელ მოქალაქეებს მხარი დავუჭიროთ. დავუჭიროთ მხარი იმ მოქალაქეებს, რომლებიც იმყოფებიან დევნილობაში უმალვე ვუპასუხოთ მათ გამოწვევებს და ჩვენი კომპეტენციისა და შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმუმი გავაკეთოთ. მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ხელისუფლებასთან, ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად კიდევ ერთხელ ვახსენე, თუ რა სახის ჰუმანიტარული ტვირთი გაიგზავნა იმერეთიდან, რომელშიც უშუალოდ იყო ჩართული სახელმწიფო რწმუნებულის აპარატი, ადმინისტრაცია, მათ შორის ბატონი ზვიად შალამბერიძე. ამავდროულად, აღსანიშნავია საზოგადოების მხარდაჭერა. ბევრმა ჩვენმა თანამოქალაქემ უშუალო მონაწილეობა მიიღო უკრაინისადმი მხარდამჭერ ღონისძიებებში. თავისი სახსრებით მოახდინა დახმარება. ბიზნეს სექტორი გამოეხმაურა აღნიშნულ პროცესს. ამ პროცესში ჩვენ, ხელისუფლება და მოქალაქეები ვართ ერთიანნი. მე შემიძლია გავიხსენო ბევრი ფაქტი, მათ შორის, ყოფილი ვიცე მერის, ბატონი ირაკლი ქარქაშაძის მონაწილეობა, ქალაქის მერის და ჩვენი ჩართულობა ამ პროცესებში. ეს არის საკითხი, რომელშიც ჩვენ ვიქნებით ყოველთვის ერთიანნი. მადლობა. ეს იყო განცხადება, რომელიც მე უშუალოდ უკრაინის ნაწილში მინდოდა, რომ გამეხმიანებინა.

ჩვენ, საკრებულოს მიმდინარე სხდომის დღის წესრიგში გვაქვს საკითხი, რომელიც ეხება ბიუჯეტის ცვლილებას. მოგეხსენებათ, მთავრობისა და პრემიერ მინისტრის გადაწყვეტილებით ჩვენ გვემატება ფისკალური რესურსი, დაახლოებით 10 მილიონ ლარამდე. ეს 10 მილიონი ლარი უშუალოდ ეხება ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებას. ამავდროულად, ჩვენ ვაზუსტებთ იმ ნაწილს, რომელიც ეხება რეგიონალური ფონდიდან გამოყოფილ თანხას. აქაც მნიშვნელოვანი ფისკალური რესურსია მობილიზებული. დაახლოებით, 8 მილიონ ნახევარი ლარი ღირებულების პროექტების დაფინანსება მოხდება ქალაქის მასშტაბით. ეს პროექტები ცნობილია საზოგადოებისათვის. მათ შორის, მედიამ არაერთხელ გააშუქა ის პრიორიტეტები, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია. კიდევ ერთხელ შეგვიძლია განვახორციელოთ ის პრიორიტეტები, რომლებიც ფინანსური რესურსით განხორციელდება ქალაქის მასშტაბით. ვფიქრობ, ეს საკითხი იქნება მნიშვნელოვანი განხილვის საგანი. მოგიწოდებთ, რომ ამ ნაწილში საზოგადოებასთან ერთად პოლიტიკური ნაწილი აქტიურად ვიყოთ ჩართულები.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გურული** (პოლიტიკური პარტია „მესამე ძალა“): „მოგესალმებით კოლეგებო. მივესალმები დამსწრე საზოგადოებას. არ შეიძლება იყო დაუნახავი და მე ნამდვილად შემიძლია დავადასტურო, ჩემგან წამოსული ინიციატივა აბსოლუტურად იქნა გაზიარებული აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ უკრაინელებთან მიმართებაში. ამავე დროს შევეხმიანები თქვენს ნათქვამს ბატონო ირაკლი, ჩვენ 20 ბავშვი ჩამოვიყვანეთ საომარი მოქმედებების ზონიდან, რომლებსაც ყოველ წელიწადს აქვთ მოდების ჩვენების ფესტივალი. ეს გაიმართა საქართველოში. მათი დაფინანსება მოხდა ჩვენი ლიდერის მიერ. საუბარი ეხება მათ სასტუმროში ცხოვრებას ურეკში. ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე გამოყოფილი იქნა ტრანსპორტი და მოეწყო ქუთაისის ღირშესანიშნაობების დათვალიერება მთელი დღის განმავლობაში. ამავე დროს ყველანი საქმის კურსში ვართ, რა გავაკეთეთ ჩვენ ერთობლივად ამ ხალხთან მიმართებაში, რომელიც ალბათ, დედაქალაქშიც არ გაკეთებულა. იგივე ვაუჩერები, იგივე უფასო მგზავრობა, ამიტომ უნდა ვიყოთ ობიექტურები და კრიტიკულები სიმართლესთან მიმართებაში. ქუთაისმა აჩვენა

საუკეთესო მაგალითი ამ ურთიერთობაში. რაც შეეხება ქალაქ დნიპროს საკითხს, თანხა რომელიც გამოიყო გენერატორის შესაძენად, ძალიან კარგი ნაბიჯია. კიდევ ერთხელ ვიტყვი, სიმართლეც, კრიტიკაც უნდა იყოს პოზიტიური და რეალობასთან მიმართებაში გაიგივებული. ვადასტურებ, ყოფილი ვიცე მერის, ირაკლი ქარქაშაძის მხარდაჭერას, ნებისმიერ თემაზე არ უთქვამს, რომ არ გამოვა. ერთი საკითხი, რომელიც შეიძლება განვიხილოთ მომდევნო სხდომაზე: აღმაშენებლის გამზირის მცხოვრებლებს აქვს პრობლემა. შარტავას ქუჩა, იუსტიციის სახლი, გოქაძის სახელობის სკოლა, ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა, ამ მიმართულებით №10 ავტობუსზე შეცვლილი იქნა სვლაგეზი. ზაფხულში, როდესაც არ იყო დატვირთვა, ამოიღეს ეს მარშრუტი. მათ აქვთ თხოვნა, რომ ამ №10 ავტობუსით მოხდეს მგზავრების გადაყვანა ამ მიმართულებით. შევისწავლოთ ეს საკითხი და სატრანსპორტო კომპანიას მივმართოთ, რომ აღადგინონ 10 ნომერი სვლაგეზი ძველი, არსებული მარშრუტით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „აღმასრულებელი რგოლი ამ საკითხზე აქტიურად მუშაობს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.უგულავა:** „ყველაზე მეტად ბოლო წლების ვითარება შეეხო ტრანსპორტს. იყო პანდემიის პერიოდი, ჩვენ შევქმენით მუნიციპალური ტრანსპორტი და ეს თემები ერთმანეთს გადაეჯაჭვა. ამ თემებს სჭირდება საკრებულოს გადაწყვეტილება. ვთვლით, რომ ჩვენ ამ კვირაში შემოვალთ ინიციატივით, რომ გავაკეთოთ რიგგარეშე სხდომა, რომ მივიღოთ ახალი გადაწყვეტილებები. ეს შეეხება ტრანსპორტის სვლაგეზს, ასევე განიხილება გაჩერებები, მოსაკრებელი.“

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-15 სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-15 სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი დავით ნიშნიანიძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და
სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბატონი ივანე ჟორჟოლიანი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის უფროსი

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის № 12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ქალბატონი თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე

4. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

5. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ბენზინგასამართი სადგურებისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.უგულავა** შემოვიდა წინადადებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-15 სხდომის დღის წესრიგის 1-ლი საკითხის („ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის

თაობაზე“) შესახებ დადგენილების პროექტის წარმომდგენი პირის შეცვლის შესახებ. კერძოდ, მან განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხს, საკრებულოს მე-15 სხდომაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელის, ბატონი **დავთ ნიშნიანიძის** ნაცვლად წარმოადგენდა თავად.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ საკრებულოს მე-15 სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 21-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.ჩიხლაძე, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-15 სხდომის დღის წესრიგის პროექტის 1- ლი საკითხის (**„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**) შესახებ დადგენილების პროექტის წარმომდგენ პირად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელის, **დავით ნიშნიანიძის** ნაცვლად, განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, **იუზა უგულავა.**

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-15 სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ზემოაღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით, შემდეგი რედაქციით:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი იუზა უგულავა
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერის მოადგილე

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბატონი ივანე ჟორჟოლიანი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის უფროსი

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის № 12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ქალბატონი თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე

4. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

5. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ბენზინგასამართი სადგურებისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის პირველი საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, ბატონმა **იუზა უგულავამ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ბატონო იუზა, გთხოვთ, უფრო დეტალურად წარმოგვიდგინოთ ის ცვლილებები, რომელიც აისახა 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტში და საზოგადოებას გავაცნოთ პროექტები, რომელიც ფინანსდება ცენტრალური ხელისუფლების მიერ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.უგულავა:** „მოგახსენებთ, რომ ბიუჯეტის პირველი ცვლილება წარმატებულია, ბიუჯეტი იზრდება დაახლოებით 20%-ით, 21 063 700 ლარით. ამ ცვლილების განხორციელების მიზეზი გახლავთ, საქართველოს მთავრობის მიერ გამოქვეყნებული ორი განკარგულება, რაც აისახება ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. პირველი ეხება რეგიონული განვითარების ფონდიდან გამოყოფილ თანხებს, კერძოდ, ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის ამ ეტაპზე გამოიყო 8 805 229 ლარი, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება ცენტრალური სამუსიკო სკოლის რეაბილიტაცია, ხახანაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია, გამსახურდიას გამზირის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, ასათიანის ქუჩის 129 და 139 ნომრებში მდებარე შენობების ფასადების რეაბილიტაცია, დუმბაძის ქუჩის № 2-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის რეაბილიტაცია, ნინოშვილის სკვერის რეაბილიტაცია, საჭადრაკო სკოლის რეაბილიტაცია და ნიჩბოსნობის სკოლის რეაბილიტაცია. ამის გარდა, ცენტრალური ბიუჯეტიდან მოხდა 10 მილიონი ლარის გამოყოფა, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია ჭავჭავაძის გამზირზე ტროტუარების რეაბილიტაცია და მოაჯირების მოწყობა, რომელიც 1 800 000 ლარი დაჯდება, ავტომშენებლის გამზირზე დაგეგმილია ტროტუარების რეაბილიტაცია, რომლისთვისაც გათვალისწინებული არის 1 000 000 ლარი, სპორტის სასახლის რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებული გახლავთ 900 000 ლარი, ჩოგბურთის კორტების კომპლექსის სარეაბილიტაციოდ გამოყოფილი გახლავთ 800 000 ლარი, ავტოქარხნის სკვერის რეაბილიტაცია დაჯდება 1 000 000 ლარი, ციფრული განათლებისა და შემოქმედებითი ცენტრის რეაბილიტაცია - 800 000 ლარი, რუსთაველის გამზირისა და ტაბიძის ქუჩებზე მდებარე შენობების ფასადების რეაბილიტაცია დაჯდება 3 650 000 ლარი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თ.ნადირაძე:** „ბატონო იუზა, თქვენ აქცენტი არ გაგიკეთებიათ სამეფო კომპლექს „ოქროს ჩარდახზე“. რა მდგომარეობაა ამ მნიშვნელოვანი ღირშესანიშნაობის მიმართულებით?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.უგულავა:** „ოქროს ჩარდახზე გამოცხადებული იყო ტენდერი, 1 მილიონ 52 ათას ლარი. გამარჯვებულია თბილისის კომპანია. 955 ათას ლარად წარმოადგინა შესრულებული პროექტები. დეტალებს ვაზუსტებთ კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან. პირობებში ეწერა, რომ კომპანიას უნდა ჰქონოდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე მუშაობის გამოცდილება. სააგენტოს დადასტურების შემდეგ ჩვენ კომპანიასთან გავაფორმებთ ხელშეკრულებას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრ.შუშანია** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „როგორც ჩემთვის ცნობილია, სპორტის სასახლე არის სავალალო მდგომარეობაში. გუნდს, რომელიც ჩემპიონი გახდა, ზესტაფონში უწევს ვარჯიში. საერთოდ ერთ პირთან მოლაპარაკებითაც შეიძლება მოგვარდეს პრობლემა. აქ ყველანაირი პირობაა იმისათვის, რომ პროცესები დაჩქარდეს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.უგულავა:** „რაც შეეხება სპორტის სასახლის სახურავს, გადაუდებელი ღონისძიებებით ვაკეთებთ, რაც შეეხება სპორტის სასახლის რეაბილიტაციას, გამოცხადებულია ტენდერი, პროექტი გულისხმობს იატაკის გამოცვლას და კოსმეტიკურ სამუშაოებს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ე.არჩაია** (პოლიტიკური პარტია „გახარია-საქართველოსათვის“): „ბატონო იუზა, დეპოს ქუჩასთან დაკავშირებით, რა სიახლეებია?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.უგულავა:** „ამ ქუჩასთან დაკავშირებით მიღებული გვაქვს პროექტი. ტენდერს გამოვაცხადებთ მომდევნო კვირაში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 21-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.ჩიხლაძე, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 20 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს 1-მა წევრმა, ბატონმა გრ.შუშანიამ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის, **იუზა უგულავას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის“ **დადგენილება N56** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-2 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა, ბატონმა **ივანე ჟორჟოლიანმა.**

(დადგენილების პროექტი ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრ.შუშანია** („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მედიასა და საზოგადოებაში ხშირად საუბრობენ ტრანსპორტთან დაკავშირებულ პრობლემებზე. გთავაზობთ, მოვაწყოთ ერთი გასვლითი სხდომა. საკრებულოს წევრები ადგილზე გავეცნოთ რა ხდება, როგორ მუშაობს ეს

კომპანია. საუბარია იმაზე, რომ ადმინისტრაციაში მძღოლებზე მეტი ადამიანია დასაქმებული. ტარიფებთან დაკავშირებით, მოვისმინოთ რამდენად აუცილებელი იყო ამ გადაწყვეტილების მიღება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ა.კოპალეიშვილი:** „დაგეგმილი გვქონდა ბატონო გიგა, ეს შეხვედრა. თქვენ გელოდებოდით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მისაღებია წინადადება და ინიციატივა. ასეთი პრაქტიკა პირადი გამოცდილებით გვქონდა ჩვენ საკრებულოში. ახლაც ქალაქის მე-4 პოლიკლინიკაში ჩავატარეთ დარგობრივი კომისიის სხდომა ჯანდაცვის მიმართულებით. მე მინდა, მივმართო დარგობრივი კომისიის თავმჯდომარეებს მიიღოთ გადაწყვეტილება გასვლითი სხდომების მოწყობასთან დაკავშირებით. ეს ნამდვილად არ არის ისეთი წინადადება, რომელსაც შეიძლება წინააღმდეგობა გაუწიო. ვფიქრობ, კარგი ინიციატივაა. ბატონმა იუზამ განაცხადა, რომ შეიძლება მოგვმართოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე, სადაც განვიხილავთ რიგ პაკეტებს ტრანსპორტის შესახებ და შეგვიძლია ეს სხდომა ჩავატაროთ სატრანსპორტო კომპანიაში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 21-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.ჩიხლაძე, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის **ივანე ჟორჟოლიანის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2023 წლის სამუშაო გეგმის

დამტკიცების შესახებ“ **განკარგულება N160**
ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-3 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის № 12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 21-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.ჩიხლაძე, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, **თეა ჯუღელის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის № 12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება N161** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-4 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 21-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.ჩიხლაძე, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 20 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს 1-მა წევრმა, ბატონმა გრ.შუშანიამ) ,**დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის -

ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება N162** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-5 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 21-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.ჩიხლაძე, გ.კილაძე, ხ.არველაძე,

გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 20 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს 1-მა წევრმა, ბატონმა გრ.შუშანიამ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება N163** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-6 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ბენზინგასამართი სადგურებისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 25 იანვრის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**განკარგულების პროექტის სათაურში, სიტყვა: „ ქონების“ წინ, ჩაემატა სიტყვა: „უძრავი“; განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა მერის წერილობითი მომართვის თარიღი და ნომერი; განკარგულების პროექტის მე-3 მუხლში სიტყვა: „ფასმაჩვენებლების“, შეიცვალა სიტყვებით: „ფასმაჩვენებელი ტექნიკური მოწყობილობების“, აღნიშნულიდან გამომდინარე, მე-3 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მუხლი 3. ბენზინგასამართი სადგურებისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონება გამოყენებულ იქნეს ფასმაჩვენებელი ტექნიკური მოწყობილობების განსათავსებლად“; განკარგულების პროექტის**

დანართს მიეთითა სათაური და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ბენზინგასამართი სადგურებისათვის გადასაცემი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ჩამონათვალი“; განკარგულების პროექტის დანართის ცხრილის ყველა პუნქტის გასწვრივ, მე-4 გრაფაში (მისამართი) ჩაემატა გადასაცემი უძრავი ქონების დასახელება (ტროტუარი, გაზონი) საჯარო რეესტრის ამონაწერების მიხედვით; განკარგულების პროექტის დანართის ცხრილის მე-5 და მე-6 გრაფების სათაურებში, სიტყვის: „ფასმაჩვენებელი“ შემდეგ, ჩაემატა სიტყვები: „ტექნიკური მოწყობილობის“; განკარგულების პროექტის დანართის ცხრილის 21-ე პუნქტის გასწვრივ, მე-4 გრაფაში, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, ჩაიწერა უძრავი ქონების მისამართი სრულად. გამომდინარე აქედან, აღნიშნულ პუნქტში ქონების მისამართი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ქალაქი ქუთაისი, ზვიად გამსახურდიას გამზირი, №55-ის ჩრდილოეთით“), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 21-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.ჩიხლაძე, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 19 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს 2 - მა წევრმა: ბატონმა გრ.შუშანიამ და ქალბატონმა ე.არჩაიამ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის

მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის **N 164 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ბენზინგასამართი სადგურებისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება N164** ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-15 სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დამთავრებისა და მათთან დაკავშირებით, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების დასრულების გამო, საკრებულოს მე-15 სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-15 სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე Irakli Shengelia Digitally signed by Irakli Shengelia DN: cn=Irakli Shengelia, serialNumber=PNOGE-60001013166, givenName=Irakli, sn=Shengelia, o=Citizen, c=GE Date: 2023.06.22 12:05:53 +04'00' ირაკლი შენგელია

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, თ.ნიქაბაძისა
და ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.